



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო**  
**უნივერსიტეტი**

Legal Entity Public Law  
**SAMTSKHE -JAVAKHETI STATE UNIVERSITY**  
**აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL**



ოქმი N<sup>o</sup> 2

„18“ 05 20206.

**დადგენილება № 14**

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პიველი და მე-2 ნაწილებისა, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭო ადგენს:

- დამტკიცდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების დებულება ამ დადგენილების დანართის შესაბამისად.
- ძალადაკარგულად გამოცხადდეს: „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 28 დეკემბრის N59 დადგენილება და „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პლაგიატის დამდგენი კომისიის საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ნოემბრის N57 დადგენილება.
- დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთვის.
- დადგენილება გაეგზავნოს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და განთავსდეს ვებ-გვერდზე.
- დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მებაღიშვილის ქ.N62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
რექტორი, ასოცირებული პროფესორი

2.

მაკა ბერიძე